ტექნიკური დავალება

სოფელ საციხურის კულტურის სახლის მაყურებელთა დარბაზის რემონტის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე

1.1 შესყიდვის ობიექტის არსებული ვითარების აღწერა:

- საციხურის კულტურის სახლში, რომელიც წარმოადგენს ორსართულიან (სარდაფის სართულით) ნახევრად კაპიტალურ შენობას სადაც განთავსებულია: საბავშვო ბაღი, სასოფლო კლუბი, ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია და სხვა. შენობის ძირითადი ნაწილი კეთილმოწყობილია. სარემონტოა შენობაში არსებული მაყურებელთა დარბაზის იატაკები და შენობაში შესასვლელი ფოიე კიბის უჯრედით. შესაძლებელია განხილული იქნას იატაკის ქვეშ ბეტონის საფუძვლის მოწყობა.
- საპროექტო გადაწყვეტილებები, განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობები წინასწარ შეთანხმდეს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან და შემსყიდველთან (მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველად სტრუქტურულ ერთეულთან);
- სარემონტო სამუშაოები დაზუსტდეს აგეგმარების დროს.

2.1 საპროექტო დავალება

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავდეს: ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დაგენილებით გათვალისწინებული შესაბამის კლასს განკუთვნილი ობიექტებისათვის საჭირო სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შემადგენლობით, ,,შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის №41 დადგენილების და ,,საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად;

ა.ბ) სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა მოიცავდეს:

- განმარტებით ბარათს პროექტზე;
- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალებს;
- არსებული შენობის აზომვით ნახაზებს, მ/შორის: გეგმებს, ფასადებს, მახასიათებელ ჭრილებს;
- არქიტექტურულ პროექტს (საჭიროების შესაბამისად);
- კონსტრუქციულ პროექტს (საჭიროების შესაბამისად);
- ელ. ტექნიკურ ნაწილს (საჭიროების შესაბამისად);
- სანტექნიკურ ნაწილს (საჭიროების შესაბამისად);
- მშენებლობის ორგანიზების პროექტს, შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული გრაფიკით;

– შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას;

ა.გ) განისაზღვროს სამუშაოთა მოცულობები, შედგეს სათანადო აქტი (დეფექტური აქტი ან/და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები) და შეთანხმდეს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან და შემსყიდველთან (მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველად სტრუქტურულ ერთეულთან);

ა.დ) ხარჯთაღრიცხვა დამუშავდეს ლოკალურ მეთოდით ფორმა 4-1 შესაბამისად (13 უჯრიანი ფორმა) და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრა მოხდეს 2017 წლის IV ან/და 2018 წლის I კვარტლის დონეზე ფიქსირებული სამშენებლო რესურსების ფასებში სახარჯთაღრიცხვო ნორმების საფუძველზე, ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დანარიცხები და ხარჯები. ამასთან ტრანსპორტირების ხარჯები განისაზღვროს ძირითადი სამშენებლო მასალების ზიდვის მანძილის მიხედვით. სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების და გეგმური მოგების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების შესაბამისად;

ა.ე) საპროექტო დოკუმენტაცია იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოს შემსყიდველისა და მომწოდებლისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მაჩვენებლებზე, ხარისხზე, სტანდარტებზე, ძირითად საექსპლუატაციო მახასიათებლებზე, გამოსაყენებელ ნედლეულზე და სხვა პარამეტრებზე;

ა.ვ) საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელი ტექსტური მასალები, სპეციფიკაციები, ნახაზები, ესკიზები, მომსახურების აღწერილობა და სხვა უნდა ასახავდეს სამუშაოების ობიექტურ ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტულ მაჩვენებლებს, მოთხოვნებს, ტერმინოლოგიებს და პირობით აღნიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ა.ზ) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას სარეაბილიტაციო შენობის და სხვადასხვა ფართების მოცულობა, განლაგება, ვიზუალური მხარე, ესკიზური პროექტი, გამოყენებული მასალები და სხვა დეტალები შეთანხმდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან. სხვადასხვა მიზეზების გამო, საჭირო შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შეთანხმებულ საწყის გეგმაში: გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების მოცულობა ცალკეულ პუნქტებში.

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) საკვლევ–საძიებო და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები, გარდა სამშენებლო მოედნის,

ტერიტორიის გამოყოფისა და განთავისუფლებისა, რომლებიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;

ბ.ბ) პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

ბ.გ) იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან;

გ) მიმწოდებლის პასუხისმგებლობა:

გ.ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო–სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავება–შედგენაზე; ამასთან დაგეგმარებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევას ან/და მის კორექტირებას შემსყიდველის მომართვის საფუძველზე დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

დ) კუთვნილება:

დ.ა) ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

დ.ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

დ.გ) მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

ე) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა:

ე.ა) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 5 (ხუთი) ეგზემპლარად ფერად ტონებში და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია ჩაწერილი CD დისკზე. საპროექტო ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნას A3 ფორმატში, ხოლო ხარჯთაღრიცხვა, განმარტებები და სხვა A4 ფორმატში. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებები და სხვა) უნდა იყოს დაბეჭდილი Sylfaen - ში, ხოლო ნახაზები PDF ფორმატში. თითოეული ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდოს 07 მეგაბაიტს.